

ლერი ჯიბლაძე, შალვა ბუაძე

ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის ლითონის არტეფაქტების ერთი ნაწილი კოლხეთიდან

წინმდებარე სტატიაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცულ ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის შემთხვევით გამოვლენილ ლითონის იარაღების ერთ ნაწილზე.¹ ასევე მათ-თან მიმართებაში ზოგადად განვიხილოთ კოლხეთის ლითონდა-მუშავებისა და ბრინჯაოს მეტალურგიული ნარმოების ზოგიერთი საინტერესო საკითხი.

ჩვენი კვლევის სფეროში შემავალ ლითონის ინვეტართა შორის ყურადღებას იყყრობს ბრინჯაოს ბრტყელი ცული (ინვ. № 8065, A-60, ტაბ. I-I, V-3), რომელზედაც მოკლე ინფორმაციული ხასიათის მონაცემებია გამოქვეყნებული [დამბაშიძე და სხვ. 2010: 382, 537, ტაბ. XXVII-464]. ნივთის სიგრძეა 14 სმ, პირთან სიგანეა 5 სმ, ხოლო თავთან – 3.0 სმ, ხოლო სისქეა 0.9 სმ. არტეფაქტის მარჯვენა მხარე შუა ნაწილში ოდნავ დაზიანებულია. გააჩნია წელში მოხრილი ტანი, რომელიც ჭედვით გამოყვანილი, ნახევარნრიული (რკალურად მომრგვალებული) სამუშაო პირისკენ თანდათან ვიწროვდება. მსუბუქად ეტყობა ტანისგან პირის გამოყოფის ტენდეცია. ცულს ზედაპირი ხორციანია და პატინითაა დაფარული. ბრტყელი ცული აღმოჩენილია 1970 წელს სათაფლიას გამოქვაბულთან, მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას. ნივთი ჩამოსხმულია.

ბრინჯაოს ყუამილიანი ცული (ინვ. № 5410 A-8/6, ტაბ. I-2, V-2). პატარა ზომის, ტანში რამდენადმე მოხრილი, რკალურშუბლიანი, მცირედ მომრგვალებული, ფხისკენ რამდენადმე გაფართოებული პირით. არტეფაქტს სავარაუდოდ გრძელი სატარე მილი უნდა ჰქონოდა, რომელიც მოტეხილია.² სიგრძეა 10,5 სმ, ხოლო სიგანე 2,5 სმ.

¹ მადლობა გვინდა გადაუხადოთ 6. ბერძნიშვილის სახელმის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორს პროფ. ომარ ლანჩავას, რომელმაც ნება დაგვრთო გამოსაცემად მოგვემზადებინა აღნიშნული ნივთები.

² ქუთაისის მუზეუმში დაცულ ყუამილიან ცულებს ზოგადად შეეხო ამავე დაწესებულების მეცნიერ თანამშრომელი ან გარდაცვლილი დავით ბერძნიშვილი [ბერძნიშვილი saunje.ge/index-.php?id=1247-&lang=en]

მეორე ყუამილიანი ცული (ინვ. № 5410 A-8/7, ტაბ. I-3,V-1) დიდი ზომისაა. აქვს ნამგლისებური მოყვანილობის ვიწრო წელიანი მოხრილი ტანი (ფორმა). რკალურ შუბლიანია. ახასათებს საკმაოდ ფართო და რკალურად ჩაზინექილი სამუშაო პირი, რომელიც ფხისკენ თანდათანობით ფართოვდება. ამ ცულსაც გრძელი მილისებური, სატარე ხვრელი უნდა ჰქონოდა, მაგრამ მოტეხილია. სიგრძეა 31.5 სმ, ხოლო სიგანე 10 სმ. აღსანიშნავია, რომ საჩხერული ტიპის ასეთი უფრო ღრმა რკალიანი, ყუამილიანი ცულები (ორი ერთეული) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მხოლოდ ქვემო სვანეთში, ლენტების ტერიტორიაზე. მიაჩინათ, რომ ამ დეტალით ისინი იშვიათ მონაპოვართა რიცხვს უნდა განეკუთვნოს [ჩართოლანი 1996: 51, ტაბ. XIV-1,2].

ამბროლაურის რ-ნის, სოფ. ახალსოფლიდან მომდინარეობს ბრინჯაოს ხუთი კოლხური ცული და აღმოსავლურ ამიერკავკასიური (ცენტრალურ ამიერკავკასიური) ამ რიგის ბრინჯაოს იარაღი.

ბრინჯაოს შვეტილტანიანი ორფერდა, კოლხური ცული (ინვ. № 5516 A-106, სიგრძე 19.4 სმ, სიგანე 7.6 სმ. ტაბ. III-2,VI-4). ყუის თავი დაზიანებულია. მახვილი ყუა პირის უკანა ნიღრისებუნაა დაქანებული, რის გამოც მისი წინა წვერი უკანაზე მაღალია. წელის წახნაგების წიბოები სატარესთან რელიეფურ წიბურებად იქცევა. წინა წიბური ყუის წვერს აღწევს, შუა-ყუისთავის შუა ნაწილამდე მიდის, უკანა წიბური კი ყუის უკანა წვერიდან იწყება და სატარე ხვრელის უკანა პირს შემოსდევს. სატარის ძირზე ქიმისებური შვერილებია გამოყვანილი. ცულის პირი ასიმეტრიულია, წინა ნიღრი უკანაზე დაბალია. ბრინჯაოს ცული აღმოჩნდა 1923 წ.

ბრინჯაოს შვეტილტანიანი კოლხური ცული (ინვ. № 5408 A-N6/1, ზომები – 19.6x8 სმ, ტაბ. IV-2;VI-3). ოვალურ ხვრელიანი, თავისეკნ გაფართოებული მახვილი ყუით, რომელიც პირის უკანა ნიღრისებუნა დაქანებულია, რის გამოც მისი წინა წვერი უკანაზე უფრო მაღალია. წინა წიბური ყუის წვერამდე გრძელდება, შუა ყუისთვიდან დაწყებული უკანა ნიღრის ბოლომდე მიდის, ხოლო მესამე წიბური ყუის უკანა ნაწილიდან იწყება და სატარე ხვრელის ძირამდე გრძელდება. პირის წინა ნიღრი უკანაზე დაბალია, რომლის მცირე ნაწილი დაზიანებულია. სატარის ძირზე გამოყვანილია ქიმისებური შვერილები, რომელიც ცალ მხარეს უფრო შესამჩნევია. ცულის პირი ასიმეტრიულია. შემოსულია მუზეუმის გახსნამდე, 1954 წ.

ბრინჯაოს კოლხური ცული (ინვ. № 5408 A-6/2, სიგრძე 19 სმ, სიგანე 8.1 სმ, ტაბ. II-1;VI-2). ახასიათებს შვეტილი ექვსწანაგა

ჭანი, ოვალური სატარე ხვრელი და მახვილი ყუა, რომელიც პირის უკანა ნიღრისკენაა დაქანებული, რის გამოც მისი წინა წვერი უკანაზე უფრო მაღალია. სატარეს ძირზე გამოყვანილია ქიმისებური შვერილები. წინა წიბური იწყება პირის წინა ნიღრიდან და ყუის წინა წვერს აღწევს, შუა კი ყუის თავთან მიდის. მესამე წიბური კი სატარე ხვრელს გასდევს. ცულის ყუის ცალ მხარეს ზედაპირზე ირიბად დასმულია ერთმანეთის პარალელური ხუთი რელიეფური წიბური. ბრინჯაოს იარაღის პირის წინა ნიღრი საკმაოდ დაბალია. ცულის პირი ასიმეტრიულია. შემოსულია მუზეუმში 1954 წ.

ბრინჯაოს კოლხური ცული (ინვ. № 5408 A-6/3, 19.1x8 სმ, ტაბ. II-2, VI-3). შვეტილტანიანი, ექვსწანხნაგა, ოვალური სატარე ხვრელიანი. აქვს უკანა ნიღრისკენ დაქანებული მახვილი ყუა. წინა ნიღრი უკანაზე დაბალია. თავისკენ გაფართოებულია და სატარის ძირზე გააჩნია მსუბუქად გამოყვანილი ქიმისებური შვერილები. აქვს ასიმეტრიული პირი. ცულს გასდევს წიბურები. ერთ-ერთი წიბური იწყება პირის წინა ნიღრიდან და ყუის წინა წვერს აღწევს, შუა კი ყუის თავთან მიდის. მესამე წიბური კი სატარე ხვრელს მიუყება. შემოვიდა მუზეუმში 1954 წ.

ბრინჯაოს კოლხური ცული (ინვ. № 5408 A-N6/4, 16x6.1 სმ, ტაბ. IV-1; VI-5). გააჩნია მასიური, დაწანხაგებული და საკმაოდ მაღალი ყუა, რომელიც სატარე ხვრელს ზემოთ ყელს იკეთებს და სრულდება დაწანხაგებული ყუის თავით. ყუა გადადის სატარეში. ბრინჯაოს ცული ხასიათდება შვეტილი შუბლითა და ასიმეტრიული პირით. ცული სადა და შედარებით მომცრო ზომისაა. შემოვიდა მუზეუმში 1954 წ.

ცენტრალურ ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული (ინვ. № 5408, ფონდის № A-6/5, 15x8.8 სმ, ტაბ. III-1, V-5).³ აქვს მასიური, დაბალი და მახვილი ყუა, წიბურებიანი ოვალური სატარე ხვრელი, სეგმენტური მოყვანილობის პირი, რომელსაც სიმეტრიულად ზემოთ აშვერილი მაღალი ფრთხები გააჩნია.

³ ამ წიბურებს ზოგჯერ იხსენიებენ აღმოსავლურ ამიერკავკასიურ, აღმოსავლურ ქართულ, მტკვარ-არაქსის შუამდინარეთისა და იბერიულ ცულებად. მაგრამ მათი ფართო გავცელების არეალების მიხედვით უფრო დამკვიდრდა ტერმინი ცენტრალური ამიერკავკასიური ცულები [ფიცხელაური 1973:166]

ქუთაისის მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს ინვეტარებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულს ნარმოადგენს ბრტყელი ცული.⁴ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ბრტყელი ცულები, რომლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვს შ. ჩართოლანის, სათავეს იღებს ადრებრინჯაოს ხანიდან [ჩართოლანი 1973: 116-124; 1996: 52-54, სურ.3].

კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ბრტყელი ცულები ძირითადად ცნობილია კომპლესგარეშე აღმოჩენებით: ზემო სვანეთი (ოთხი ერთეული-ლასილას ხეობა, ლატალი, ნანარი), სამეგრელო (სოფ. მახარია-ჯვარი), აფხაზეთი და საჩხერე [ჩართოლანი 1996:52-54, სურ. 3, 1-7]. იშვიათადაა ისინი გამოვლენილი არქეოლოგიური გათხრებისას კომპლექსურ მასალებთან ერთად (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VII კულტურული ფენა) [ჯიბლაძე 2007: 67, ტაბ. ჩII-3]. ქუთაისის ბრტყელი ცული ტიპოლოგიური მონაცემებით რამდენადმე განსხვავდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ცნობილ ამ რიგის იარაღებისგან, რომელთაც ახასიათებს ვწირო ტანი, წამახვილებილი თავი, ზოგჯერ ტანისგან სამუშაო პირის გამოყოფის ტენდეცია (ფიჩორი, ლატალი, ნანარი) და ა.შ. ვფიქრობთ, ქუთაისის ბრტყელი ცული ამ მხრივ ტიპოლოგიურად უფრო ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე ყორდანულ კულტურაში გავრცელებულ ბრტყელ ცულებს (ქვემო სარალი, ნადარბაზევის № 1,2, ბედენის № 5,10 და მარტყოფის № 4.5 ყორდანები) [ჯაფარიძე 1998: 40, 47, სურ. 14-80, 81, 79; სურ. 28-163; ლამბაშიძე და სხვ. 2010: 175, ტაბ. 013]. ადრეყორდანულ ბრტყელ ცულებთან თანხვედრები მეტნაკლებად შეინიშნება ტანის მოყვანილობით. სხვაობა მათ შორის კი უფრო მოხრილი ტანითა და ზომებით გამოიხატება.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ყუამილიანი ცულები ტიპოლოგიურად განეკუთვნება საჩხერულ ტიპს, რომლის განვითარებაში გამოყოფებ სამ ჯგუფს [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 154-156]. ამ სქემის მიხედვით ეს ნიმუშები უნდა მოთავსდეს III ჯგუფში. ანდა ისინი უნდა გაერთიანდეს IX-I ვარიანტის ცულებში [ჯიბლაძე 2011: 129, ტაბ. I].

⁴ აქვთ შევნიშნავთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრტყელი ცულების კლასიფიკაცია შემუშავებული აქვთ ბ. კუფტინისა და დ. ქორიძეს. ბ. კუფტინი ამ ტიპის ცულებში გამოყოფს სამ სახეობას, ხოლო დ. ქორიძე კი სამ სახეობასა და ორ ქვესახეობას [Куфтин 1944: 30, სურ. 23-ა; ქორიძე 1969: ტაბ. I,II,III,IV].

მდ. ყვირილას ზემო წელზე შესწავლილი ყორდანული სამარხე-ბის გარდა (პასიეთი, ქორეთი, ცარცის გორა), საჩხერული ტიპის ყუამილიანი, ყუადაქანებული ცულები და მათი სხვადასხვა ვარიაციები აღმოჩენილია სვანეთში, ინჩხურში (მარტვილის რ-ნი), საზანოში, სვირში, სარაგაულსა⁵ და ილემში [ჩართოლანი 1996: 46-51, სურ. 2; ტაბ. XIII-XIV; დამბაშიძე და სხვ. 2010: 380-381, 479, ტაბ-832, 833; XXVII-458, 459, 461, 462, 46; ჯიბლაძე 20011: 126-136; კვიციანი; ჯიბლაძე 2015: 31, ტაბ. IV-1; მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზუმის კატალოგი 2014: 31]. თუ უფრო შორს მოვიძიებთ ამ ტიპის ცულების პარალელურ მასალებს, მათ ვხვდებით შიდა ქართლში (ძაღინა, ქვასათალი, მასკანტიკომი, მეტები, ქარელი, გუფთა), ბადაანში, ლენინაკანში (ჯორჯ-კოლონის სამაროვანი) და სხვა [ჯაფარიძე 1976: 129; Texov 2006: 111, სურ. 11-2, 3, 7-8; ჯიბლაძე 2011: 129: 136, ტაბ I]. უფრო გვიან საჩხერული ტიპის ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულების სხვადასხვა სახე-სხვაობა ფართოდ გავრცელდა ჩრდილო კავკასიაში, რომელთაც აქცევენ 2,6; 2,8 ჯგუფის ბრინჯაოს ცულების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში [Кореневеский 1981: 28-27]. შემდეგ კი ცულების ეს ფორმა ევროპაშიც ვრცელდება [ჯაფარიძე 1976: 129].

დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილებში გამოვლენილი საჩხერული ტიპის ცულები მომდინარეობდეს მდ. ყვირილას ზემო წელზე არსებული ამ ცულების დამზადების ერთი საწარმოო კერძიდან. ვფიქრობთ, ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი საჩხერული ტიპის ყუამილიანი, ყუადაქანებული ცულების როგორც ტიპოლოგიური, ასევე ქიმიური შედგენილობის მიხედვით გარკვეული თანხვედრები. აგრეთვე ისიც, რომ ამ ტიპის ცულების დიდი ნაწილი ლოკალიზდება მდ. ყვირილას ზემო წელზე. შემდეგ კი მოსალოდნელია მათი გავრცელება დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში.

როგორც მოვიხსენიეთ, საჩხერული ტიპის ცულებად მიჩნეულ ერთ ნაწილს (ხარაგაულის ყუამილიანი ცული, ილემის, საზანოს, სვირის ყუადაქანებული, ყუამილიანი ცულები) საჩხერის საწარმოო კერისათვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად, ახასიათებს სოლისებური პირის დაბოლოებიანი, შედარებით

⁵ ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ თანამშრომლის რ. კვირკვაიას ცნობით, რომელმაც საფანგებო გამოკვლევები ჩატარა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს არტეფაქტებზე, მოხსენებული ცული (ორი ერთეული) აღმოჩენილია არა დასახელებულ პუნქტში, არამედ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფ. საქასრიას ტერიტორიაზე.

ფართო თანაბარი ზომის ტანი, ყუის წინა მხრიდან შეჭრილობა. ისინი ამ ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით რამდენადმე განსხვავდებიან ამ სანარმოო კერისათვის დამახა-სიათებელი ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულებისაგან. ასევე სვანეთის ამ რიგის ნიმუშებისგან, სადაც საჩხერული ტიპის ცუ-ლების არაერთი ნიმუშია გამოვლენილი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი დეტალის მიხედვით ეს ცულები (უფრო მეტად ხარაგაულის ყუამილიანი ცული) უფრო მიიღტვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ბედენური კულ-ტურის ანალოგიური ნიმუშებისკენ (მარტყოფი №4 ყორღანი და სხვ.). ამ საკითხებზე საუბრისას ასევე მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ კინოთის ცულიც (ზესტაფონის რ-ნი) განსაკუთრებულ სიახლოეს ავლენს შიდა ქართლში გამოვლენილ ბრეძას (ხაშურის მუნიციპალიტეტი) ამ სახის იარაღთან [ლამბაშიძე და სხვ. 2010: 558, ტაბ. XLVIII-811]. ჩნდება არცთუ ისე უსაფუძვლო მოსაზრება, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში, აღმოსავლეთ კოლხე-თის ამ მონაკვეთში ბედენური კულტურის იმპულსები ხომ არ ვრცელდებოდა. ასევე თუ მიერიდებთ მხედველობაში ზემო იმერეთის პლატოზე ბედენური კულტურის რადიაციას და საერთოდ აქ არ-სებულ არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთმონაცვლებას, ეს მოსაზრება დამაჯერებლობას არ უნდა იყოს მოკლებული. იქნებ ზესტაფონისა და ხარაგაულის მხარე, ნარმოადგენდა კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ბედენური კულტურის საკონტა-ქტო ზონას [ჯიბლაძე 2015: 83]!⁶ ამ ეჭვი ისიც აძლიერებს, რომ

⁶ მდ. ყვირილას ზემო წელი (ზემო იმერეთის ზეგანი) ადრე ბრინჯაოს ხანაში მთლიანად მოქცეულია მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში და ლითონის ინვე-ტარის მიხედვით (საჩხერის ყორლანული სამაროვანი) ნარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ კერას კავაკასაში [ჯაფარიძე 1976: 141; ფხავაძე 1993: 74-75; მახარაძე; ბერიკაშვილი 2004: 29]. მდ. ყვირილას ზემო წელზე ამ კულტუ-რის ძეგლებზე ზოგჯერ ნარმოდგენილი საკამიდ თხელი კულტურული ფენები [გაგონიძე და სხვ. 2004: 73-113; ბერიკაშვილი 2003: 15-23; 2006: 14; ფხავაძე 1992: 258-266]. ზოგჯერ აქ ლა ტაბას ნამისახლარებზე (ჯიეთი VI ფენი, მოდინიხე, ითხევის-ჩილათას ბორცვი VI ფენი) მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ბოლო ეტაპზე ჩნდება ბედენური კულტურა [ბერიკაშვილი 2006: 17]. მოძღვვის პერი-ოდიში მოდინიახეს სამაროვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ადრეულ ჯგუფს ახლო კონტაქტები გააჩნია კოლხეთის ბარის პროტოკოლოსურ მასალებთან [ლომ-თაძე 2000: 9]. ამ სამაროვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების უფრო მოგვიანო ჯგუფს კი აქცევს იმ კულტურს წრეში, რომელიც ახლოს დგას შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან (ნული, ქვასათალი, ნაღვლი და ა.შ). ფიქრობენ, რომ ადრებრინჯაოს დასასრულს ზემო იმერეთის პლატოზე მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის დასავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული კულტურა [ფხავაძე 1978: 11]. მდ. ყვირილას ხეობაში ეს პროცესი უფრო შესამჩნევია შუა-ბრინჯაოს საწყის ეტაპზე [ჯაფარიძე 1961: 189; მახარაძე; ბერიკაშვილი 2004: 29]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კი მდ.ყვირილას აუზი მთლიანად მოქ-ცეულია ძველი კოლხური კულტურის რადიაციის ზონაში.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც აღნიშნული ტერიტორიები, მდ. ყვირილას ზემო წელის აუზთან ერთად (საჩერის რ-ნი), ალბათ წარმოადგენდა საკონტაქტო ზონას აღმოსავლურ და კოლხურ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურათა შორის. ამ ფაქტს უნდა ადასტურებდეს პერევის, ბეჟათუბნისა და ზემო სიმონეთის განძების შემადგენლობაში აღმოჩნდილი ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულები და აღმოსავლურ-ქართული ქედაბეკური ტიპის მახვილის ფრაგმენტი? [ქორიძე 1965: 24.34].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალსოფლიდან მომდინარეობს ექვსი ცული, რომელთაგან ოთხს ახასიათებს I სახეობის ამ რიგის იარაღებისათვის დამახასიათებელი ნიშნები როგორიცაა: ექვსად დაწახნაგებული შვეტილი ტანი, ნინა მხრიდან მკვეთრად დაშვებული ნიღრები, წვეტიან-ოვალური სატარე ხერელი, მახვილი ყუა, შუბლისა და იღლის არები, მხარეზე, სატარის ძირზე გამოსახული მეტანაკლები სიდიდის ქიმისებური შვერილები და ა.შ. ამ პარამეტრებით ისინი თავსდებიან დ. ქორიძისეული კლასიფიკის I სახეობის ცულებში [ქორიძე 1965:61-62]. ახალსოფლიდან წარმოდგენილი ერთი ნიმუში კი დაწახნაგებული, მაღალი ჩაქუჩისებური ყუით, შვეტილი შუბლით, ასიმეტრიული პირითა და ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული ამ ცულისათვის დამახასიათებელი სხვა დეტალებით, განეკუთვნება II სახეობას⁷ [ქორიძე 1965: 61-64]. ახალსოფლის I, II სახეობის ცულების ანალოგიური ნიმუშები ფართოდაა წარმოდგენილი კოლხეთის ტერიტორიაზე და ამიტომ მათ ჩამოთვლას არ შეუდგებით. საინტერესო ის ფაქტი, რომ სოფ. ახალსოფლიდან ქუთაისის მუზეუმში ოთხი ერთეული ცული 1954 წელსაა შესული. იქმნება გარკვეული ცდუნება იმისა, რომ ამ ცულების სახით ხომ არა გვაქვს საქმე განძთან ან განძის ნაწილთან. ახალსოფლის ცულების შესახებ სხვა მონაცემები არ მოგვეპოვება. აღნიშნული არტეფაქტებს ახასიათებს საკმაოდ არქაული ნიშნები და ყველა პარამეტრებით

⁷ ვეუნივერსალური დ. ქორიძის კლასიფიკისა, რომელმაც კოლხური ცულის განვითარებაში გამოყო იმის მიხედვის სახეობა და სამი ქვესახეობა [ქორიძე 1965:60-74]. ო. ჯაფარიძე კი კოლხური ცულების განვითარებაში გამოყოფს სამ ძირითად ტიპს, რომელთაგან I და II ტიპები შეიცავს ქვეტიპებს [ჯაფარიძე 1950:41,სურ.1].

უნდა მოთავსდეს ძვ.წ. XIV-XI სს კოლხური ცულების განვითარების ქრონოლოგიურ ჯგუფში.⁸

ყურადღებას გავამახვილებთ ახალსოფლიდან მომდინარე ცენტრალურ ამიერკავკასიურ ცულზე, რომლის აღმოჩენის წელი და ვითარება უცნობია. ამ ტიპის ცულები კოლხეთის მთიანეთში აღმოჩენილია სამ პუნქტში (სვანეთი – 2 ერთეული აღმოჩენის ზუსტი პუნქტი უცნობია; ქვემო რაჭა – ახალსოფელი, ტბეთი; ლეჩეუმი – ცაგერის განძი) [ქორიძე 1954:25; სახაროვა 1976:8-10; ხართული 1989:84-85]. საერთოდ კი ეს ცული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახელებული პუნქტების გარდა ცნობილია ძირითადად განძების შემადგენლობაში (ბეჟათუბანი – 5? ერთეული, ზემო სიმონეთი, პერევი, ზუნდაგი – მდ. აჭარის სწყლის ხეობა, ასევე მეხჩის ციხიდან) [ქორიძე 1954: 24-25; 1965: 27, 30-31, 34-35, სურ. 18, 19, 20, 21, 26, 30; კახიძე: მამულაძე 2000: 75]. იშვიათადაა აღმოჩენილი ამ ტიპის ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ფორმა კომპლექსურ მასალებთან ერთად (ითხვისის ნამოსახლარი – ჩილათას ბორცვი, ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდის IV თუ V კულტურულ ფენა) [გაგოშიძე და სხვ. 2004: 78, სურ. 47]. კოლხეთის ტერიტორიაზე (ცენტრალური ამიერკავკასიური ცულების აღმოჩენაზე გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებები. ბ. კუფტინის აზრით, იმერეთიდან რაჭა-ლეჩეუმში, ეს ცული ვიწრო ზოლით იჭრება, სადაც ერწყმის კოლხურ ცულს და ქმნის ერთგვარ ჰიბრიდს ლარის ტიპის ცულის სახით, მკვლევარს მოცემული აქვს მისი ქრონოლოგიური განვითარების ცხრილი [კუფტინ 1944: 332-333, სურ. 24]. ბ. კუუფტინს დასაშვებად მიაჩინა კოლხეთის მთიანეთში (სვანეთი, რაჭა, ლეჩეუმი) ამ ცულის მოხვედრა აღმოსავლურ ქართული ტომების ექსპანსიის შედეგად [კუფტინ 1944: 331-332].⁹ დ. ქორიძე შენიშვნავს, რომ სამი ცულით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პროცესების ახსნა შეუძლებელია და იგი უფრო უნდა ასახვდეს მოსაზღვრე ტომების გაცვლა-გამოცვლებს, ან სანარმოო კერების გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, რაც უფრო მისაღები გვეჩვენება [ქორიძე 1954: 36].

⁸ სანკუნტარო ბარათებში (შემდგენელი ლ. ჯიქა) ახალსოფლის I, II სახეობის ცულებზე მითითებულია უფრო კინკრეტული თარიღები – ძვ.წ. XIII-XII სს. ამავე ბარათების მიხედვით ქუთაისის მუზეუმის ყუმბილიანი ცულები, ჩვენგან განსხვავებით, დათარიღებულია შუაბრინჯაოს ხანით (შემდგენელი ლ. ჯიქა, დ. ბერძენიშვილი).

⁹ ბ. კუუფტინი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ტიპის ცულების რამდენიმე ნიმუშით ვარაუდობდა რაჭველების სატომო ჯგუფის შექმნას [კუფტინ 1944: 331-332], რომელიც კ. ფიცხელაურს არადამაჯერებლად მიაჩინა [ფიცხელაური 1973: 168].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულები ყუაზე გამოსახული შვერილების გარეშე. იშვიათადაა, როდესაც ყუაზე ასეთი დეტალია დატანილი (ცაგერის განძი).

აღმოსავლურ ამიერკავკასიური ცულების ცალკეულ აღმოჩენებს, გავრცელების არეალებს, ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ტიპოლოგიას და სხვა საკითხებს არაერთი მკვლევარი შეხებია (ბ. კუფტინი, დ. ქორიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. მარტიროსიანი, ს. ესაიანი, კ. ფიცხელაური, გ. ავალიშვილი და სხვ). მათი სრული ჩამონათვალისა და გამოთქმული მოსაზრებების განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ შემოვიფარგლებით ზოგიერთით.¹⁰ გ. გობეჯიშვილი ცენტრალურ ამიერკავკასიურ ცულებს ქრონოლოგიურად აქცევს დაწყებული კოლხურ-ყობანური უძველესი პერიოდიდან, ვიდრე ვანის სამეფოს დასასრულამდე [გობეჯიშვილი 1951: 269]. დ. ქორიძეს აღმოსავლურ ამიერკავკასიური ცულების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვს შიდა ქართლში აღმოჩენილი ამ რიგის ცულების მიხედვით, რომლის განვითარებაში სამ ჯგუფს გამოჰყოფს¹¹ და ქრონოლოგიურად ათავსებს ძვ. XIII-VII სს [ქორიძე 1954:39-42]. გ. ავალიშვილი ამ ცულს, ქვემო ქართლის კულტურის ძირითად დამახასიათებელი იარაღად თვლის, რომელიც გავრცელებული ყოფილა ძვ. XIV,XIII-IX,VIII სს [ავალიშვილი 1974: 41, 43, 44, 47]. კ. ფიცხელაურის აღნიშვნით, ეს ცულები გვხვდება გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის თითქმის ყველა საფეხურზე [ფიცხელაური 1973: 166].

ვფიქრობთ, ახალსოფლის ნიმუში უნდა მოექცეს დ. ქორიძის ეული კლასიფიკირების II ჯგუფში [ქორიძე 1954:]. ეს ცული ტი-

¹⁰ ამ საკითხებზე დეტალურად იხილეთ [ფიცხელაური 1973: 166-169; ავალიშვილი 1974: 38-49].

¹¹ დ. ქორიძის კლასიფიკირების მიხედვით I ჯგუფში ექცევა ყველაზე ადრეული ცენტრალური ამიერკავკასიური ცულები, რომელთაც ახასიათებს დოდი ზომა, ყუაზე გამოსახული შვერილებით; მეორე და მესამე ჯგუფში გაერთიანებულია შედარებით ნაკლები წონისა და ყველაზე პატარა ზომის ამგვარი ცულები. სომხეთში აღმოჩენილი ცენტრალური ამიერკავკასიური ცულების კლასიფიკაცია მოცემული აქვს ს. ესაიანს, რომელიც გამოჰყოფს ოთხ ვარიანტს [Ecaian 1966: 11, 147], ხოლო ლ. მარტიროსიანმა ერთმანეთის თანმიმდევრული სამი ქრონოლოგიურ ჯგუფი [Мартиросян 1964: 101-102]. ბ. მაისურაძემ კი აღნიშნული ტიპის ცულები გაართანა სამ ჯგუფსა და ქვეჯგუფში. მისი მონაცემებით ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია 146 პუნქტში [მაისურაძე 1997:64-81].

პოლოგიურად ძალიან ჰეგავს ზუნდაგის, ბეჭათუბნის, სვანეთისა და ცხინვალის განძის ცულებს.

სანარმოო კერების გამოყოფისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრინჯაოს ნივთების ქიმიური ანალიზების შედეგებს. კოლხეთში სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით, როგორც ჩანს ლითონდამუშავებას ყველაზე ადრე ეცნობიან მდ. ყვირილას ზემო წელზე და სვანეთში. საჩხერის ლითონის ინვეტარი ძირითადად დამზადებულია დარიშხნაირი სპილენძისაგან, სადაც დარიშხნის რაოდენობა აღნევს 0.78-7% [აბესაძე 2011: 39, ცხრილი 3]. აღსანიშნავია, რომ საჩხერის თითქმის ყოველი ნივთი მინარევების სახით შეიცავს ანთიმონს 1%-დან 2.6%-მდე [აბესაძე 2011: 102, ანალიზი 76-78, 80, 82; ღამბაშიძე და სხვ. 2010: 350, 351, 352, 354, 360, 361]. ანთიმონი არ ჩანს მხოლოდ ქორეთის ნივთებში.¹²

ქუთაისის მუზეუმში დაცულ ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს არტეფაქტებზე ქიმიური გამოკვლევა არ ჩატარებულა. ჩვენს მიერ განხილული როგორც ქუთაისის მუზეუმის ადრებრინჯაოს ხანის ნივთები, ასევე მათი თანადროული მაღლაკის, საზარელოს, სვირის, საქასრიას, ილემის ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები დიდი ალბათობით დამზადებული უნდა იყოს დარიშხანმინარევიანი სპილენძისაგან. ამ ვარაუდის გამოთქმისას ვეყრდნობით ზემოთ მოყვანილ მონაცემებს.

ახალსოფლის ბრინჯაოს კოლხური ცულების ჩამოსხმისას გამოყენებული უნდა იყოს მდრიბონის სათავეებში განლაგებული სპილენძის ნედლეული, რომელიც დიდი ალბათობით აქ მოხვედრილი უნდა იყოს კოლხეთის მთასა და ბარს შორის დამაკავშირებელი ამ მდინარის ხეობაში გამავალი საკომუნიკაციო გზის მეშვეობით. ასეთი ახსნა უფრო ლოგიკური უნდა იყოს, რადგან სწორედ ეს საბადოები მდებარეობენ ყველაზე ახლოს აღმოჩენის ადგილთან.

¹² გამოთქმულია მოსაზრება, რომ მდ. ყვირილას ზემო წელზე უნდა ყოფილიყო სპილენძის საბადოები, რომელთა კვალი დროთა განმავლობაში არ შემორჩა [ჯაფარიძე 2013: 13]. სავარაუდო, აქ არსებული ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი კერები მარაგდებოდა სპილენძით მდიდარი ოქსიდური და კარბონატულ-სილიკატური (ჟანგისეული) ნედლეული მასალებით, რომელიც მეტალურგიურ საქმიანობაში უფრო ადრე გამოიყენებოდა, ვიდრე სპილენძის სულფიდური მადნები [ინანნიშვილი და სხვ. 2010: 110-113]. ეს უკანასკნელი განლაგებული კოლხეთის მითინეთში აფხაზეთის, სვანეთისა და მთის რაჭის გამადგენბათა ზოლში [ინანნიშვილი 2010: 19; ღამბაშიძე და სხვ. 2010: 33-52]. სპილენძის ძეველი გამონამუშევრები ასევე მოხსენიებული აქვთ მდ. ჯეჯორას ხეობაში სოფ. ყევსელთასთან ახლოს [Иессен 1935:35-43; Техов 1977:198].

როგორც ცნობილია, ზემო რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მიკვლეულია 100-მდე ძველი მაღარო გამონამუშევარი, სადაც მიმდინარეობდა სპილენძის, დარიშხნისა და ანთიმონის მაღნის მოპოვება [ინანიშვილი და სხვ 1998:52-59; ინანიშვილი და სხვ 2010: 54-89]. საერთოდ კი შუაბრინჯაოს ხანაში რაჭაში ბრინჯაოს ნივთების დასამზადებლად ძირითადად გამოყენებულია დარიშხნიანი სპილენძი, მაგრამ ამავე დროს ხმარებაშია დარიშხან-ანთიმონიანი ბრინჯაო.¹³ რაც შეეხება კალიან ბრინჯაოს, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნავენ, ის ამ რეგიონში იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს, კალას, როგორც მალევირებულ ლითონს, რაჭაში უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან იყენებენ, მაგრამ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ [აბესაძე 2011:232].¹⁴

¹³ საინტერესოა, რომ თხმორის განძში შემავალი 11 ცალი ბრინჯაოს თოხი (II ტიპი – ვეულისხმობთ თო. დამბაშიძის მიერ თხმორის განძში შემავალი თოხების დაყოფას) დამზადებულია 98% სპილენძისაგან, სადაც კალის შემცველობა უდრის 0.37%-დან 1%-მდე. III ტიპის თოხებში კი კალის შემცველობა 0.5%-ია. ერთ-ერთში კი სპილენძი არის 94%, კალა კი 3.4% [დამბაშიძე 1863:1516,21].

¹⁴ სანარმოო კერძის გამოყოფაზე დიდი სამუშაოები აქვს ჩატარებული ც. აბესაძეს, რომელმც კოლხური გვანბრინჯაოს ხანის კულტურა ერთმანეთისაგან გამირჯნა მზა ნანარმის მიხედვით: 1. მდ. ჭოროხის აუზი, რომლის ბრინჯაოს ნანარმი ძირითადად ლეგილირებული იყო დარიშხნით, ზოგჯერ კალით, ხანდახან კი ორთავეთი [აბესაძე 2011: 344]; 2. რიონ-ცხენისწყლის აუზის ორმდინარეთი (რაჭა-ლეჩხუმი), რომლის ბრინჯაოს ნანარმი ძირითადად ლეგილირებული იყო კალით, თუმცა აქა-იქ გვხვდებოდა დარიშხანიც [აბესაძე 2011: 344]; 3. ჩრდილო-დასვლეთ კოლხეთი (მდ. კოდორის ზემო წელი). ეს რეგიონი რიონის საავეებ-თან შედარებით ნაკლებად მდიდარი იყო ნიალისეული რესურსებით, მაგრამ აქ არსებული მადანი მილინად აკმაყოფილებდა ლითონით ამ მხარეს. თუმცა აქ შესაძლოა ლითონი შემოტანათ მეზობელი რეგიონებიდანაც (სვანეთი, რაჭა); 4. მდ. ყვერილას ხეობა, სადაც ადრებრინჯაოს ხანაში მოქმედებდა სპილენძის მდლავრი სანარმოო კერა, რომელიც ძირითადად დარიშხნიანი სპილენძისაგან მზადებოდა. ეს ტრადიცია გვიანბრინჯაოს ხანაშიც გრძელდება, სადაც დარიშხნიან სპილენძთან ერთად კალიან ბრინჯაოსაც იყენებდენ.

Some metal artefacts of the Early and Late bronze Age from Colchis

Summary

Among the bronze tools preserved in the Kutaisi State Historical Ethnography Museum the flat and bend-pipe axes draw special interest. In accordance with the typological data they are dated by Early Bronze Age. The bend-pipe axes belongs to the Sachkhere type, but flat axes by the typological-morphological signs is more approximated to the artifacts from the early Kurgan culture on the Eastern Georgia territory.

Also it is noteworthy accidentally discovered five Colchis and one Eastern Transcaucasia axes preserved in Village Akhalsopheli, Ambrolauri District. Colchis axes in accordance with the typological and morphological signs belongs to I and II types based on the classification of D. Koridze and should be dated by XIV – XVI centuries. But Eastern Transcaucasia axes in Racha should be formed in Bronze Age as a result of relationship of Eastern and Western Georgian tribes.

ლიტერატურა

- აბესაძე ც. 2011: ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ძველ საქართველოში, თბილისი.
- ავალიშვილი გ. 1974: ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი.
- ბერიკაშვილი დ. 2003: ზემო იმერეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები-VIII. თბილისი, გვ. 15-23.
- ბერიკაშვილი დ. 2006: ზემო იმერეთის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი (ხელნაწერის უფლებით).
- ბერძენიშვილი დ. ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმიდან saunje.ge/index.php?id=1247&lang=en
- გობეჯიშვილი გ. 1951: სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი II, თბილისი, გვ. 239-276.
- გაგოშიძე ი; მახარაძე გ; ქორიძე ე; გოგიბერიძე ნ. 2004: ითხვისის ნამოსახლარი. არქეოლოგიური უურნალი III, თბილისი, გვ. 73-113.

- ინანიშვილი გ; ჩართოლანი შ; მაისურაძე ბ; გობეჯიშვილი გ. 1998: უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი 2, თბილისი, გვ. 52-59.
- ინანიშვილი გ; მაისურაძე ბ; გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ქვ. ნ. III-I ათასწლეულებში), თბილისი.
- კახიძე ა; მამულაძე შ. 2000: ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი.
- კვიციანი ზ; ჯიბლაძე ლ. 2015: უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), თბილისი
- ლომთაძე ლ. 2000: მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, არქეოლოგიური უურნალი I, თბილისი, გვ. 5-17.
- მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი 2014: თბილისი.
- მახარაძე გ. ბერიკაშვილი დ. 2004: აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური უურნალი III, თბილისი, გვ. 129-147.
- სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი.
- ღამბაშიძე ოთ 1963: თხმორის განძი, თბილისი.
- ღამბაშიძე ი; მინდიაშვილი გ; გოგოჭური გ; კახიანი კ; ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ქვ. V-III ათასწლეულებში. თბილისი.
- ჩართოლანი შ. 1973: საქართველოს „ბრტყელი ცულების“ შესწავლისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის V, თბილისი, გვ. 116-134
- ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი, თბილისი.
- ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ქვ. XV-VIII სს.), თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1978: მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველს ტერიტორიაზე, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები II, თბილისი, გვ. 3-12.
- ფხაკაძე გ. 1992: ენეოლითი და ადრე ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართვლოში. საქართველოს არქეოლოგია II, თბილისი, გვ. 216-180
- ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცვის III ათასწლეულში, თბილისი.

- ქორიძე დ. 1954: გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII- დ, თბილისი, გვ.5-69.
- ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.
- ქორიძე დ 1969: საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVIII-B, თბილისი, გვ. 5-69.
- ჯაფარიძე ო. 1950: კოლხური ცული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI- B, თბილისი, გვ. 35-89.
- ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნიკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2011: კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონის ყუახვრელიანი ცული, აფხაზეთი II. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ. 126-136
- ჯიბლაძე ლ. 2015: კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი და მეორადი მეტალურგიული წარმოების კერძების ურთიერთობის საკითხები, ობლაინ არქეოლოგია № 8, თბილისი, გვ.76-97. ელექტრონული ვერსია, დევს ინტერნეტის საიტზე heritagesite.ge.
- Иессен А. 1935а: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК –120, Москва-Ленинград, стр.7-216
- Мартиросян Л. 1964: Армения в Эпоху бронзы и раннего железа, Ереван.
- Кореневский С. 1981 : Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи Средней бронзы. Северный Кавказ и Средняя Азия в древности и Средневековье. Москва, стр. 20-41.
- Куфтин Б 1944: К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. XII-B, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი, გვ. 291-416.

-
- Куфтин Б 1944а: Урартский Колумбарий у подошвы Араката и Ку-
ро-Аракский Энеолит, საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის მოამბე -XIII-B, თბილისი, გვ. 1-171.
- Есаян С 1966: Оружие и военное дело древней Армении. Ереван.
- Техов В. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Цхинвали.
- Техов Б. 1991: Древнейшей металлургии и металлообработке цент-
рального Кавказа, Кавказ в системе палеометаллических
культур Евразии , Тбилиси, стр. 224-233.
- Техов Б 2006: Археология Южной части Осетии, Владикавказ.
- Чартолани Ш. 1989: К истории нагорья Западной Грузии доклассовой
эпохи. Тбилиси





1

2





1



2






1




2







0 1 2 3




1



2



3



4



5

0 1 2 3